თბილისი 2016

საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების გზამკვლევი

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო

შემოკლებების ჩამონათვალი

მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ჯინის ინდექსი/კოეფიციენტი	შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის ინდექსი
AVRR	ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამა
BSEC	შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია
CRRC	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველო (CRRC-საქართველო)
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EC	ევროკომისია
ETF	ევროპის სატრენინგო ფონდი
EU	ევროკავშირი
EUI	ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტი
EUROSTAT	ევროკავშირის სტატისტიკის ოფისი
FRONTEX	ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრებზე ოპერატიული თანამშრომლობის მართვის ევროპული სააგენტო
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISET	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
UMAS	მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა
UN DESA	გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი
UNDP	გაერო-ს განვითარების პროგრამა
UNESCO	გაერო-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
UNFPA	გაერო-ს მოსახლეობის ფონდი
UNHCR	გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WGCC	BSEC-ის დანაშაულის დაძლევის სამუშაო ჯგუფი
Росстат	რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახური

მადლობის ნიშნად

„საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების გზამკვლევის“ შექმნის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) პროექტის „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) და საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიაში მისი ანალიტიკური განყოფილებისგან მიღებული დახმარება.

შინაარსი

შესავალი ... 3

საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების შემუშავების პროცესი: ძირითადი ნაბიჯები ... 7

- საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების შემუშავება როგორც მონაწილეობითი პროცესი ... 7
- საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესი და ვადები ... 8
- მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესი და ვადები ... 9

საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის სტრუქტურა ... 11

- მოკლე შინაარსი ... 11
- ზოგადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ ... 11
- ნაწილი A. მიგრაციული ტენდენციები ... 12
- ნაწილი B. მიგრაციის გავლენა ... 16
- ნაწილი C. მიგრაციის მართვა ... 20
- ნაწილი D. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები ... 21

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის სტრუქტურა ... 21

მონაცემების შეგროვება, ანალიზი და მათი პრეზენტაცია ... 22

- მონაცემების შეგროვება ... 22
- ანალიზი ... 25

საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების დიზაინი და პოპულარიზაცია. 25

დანართი 1. საქართველოს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის სტრუქტურა ... 29

დანართი 2. საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილისათვის შექმნილი მონაცემთა გამოთხოვნის ფორმების მაგალითები ... 32

დანართი 3. მონაცემების კატეგორიებად ჩაშლა, პირველადი/დაუმუშავებელი მონაცემები და პროცენტები ... 35

შესავალი

მიგრაციის პროფილის მიზანია, მიგრაციულ პროცესებში ჩართულ ქვეყნებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას, ანალიზსა და მართვას შეუწყოს ხელი. როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, ევროკომისიის (EC)[1] მიერ 2005 წელს წარმოდგენილი დოკუმენტი თავდაპირველად მიზნად ისახავდა შავი ზღვის რეგიონში და პოსტ-საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მიგრაციის მართვისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესებას. ამჟამად, არსებობს მიგრაციის პროფილის რამდენიმე ფორმატი[2] - ზოგიერთი მათგანი უფრო ფართოდ გამოიყენება ბალკანეთის, დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ, სხვები კი, კონკრეტული პროექტის ფარგლებში განხორციელებული ერთჯერადი ინიციატივებია, რომელთაც შემდგომი გაგრძელება არ მოჰყოლია.

მიგრაციის პროფილის დოკუმენტების შემუშავება პრაღის პროცესის [3] ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. პრაღის პროცესის ფარგლებში შემუშავდა დოკუმენტის ორი ფორმატი - *ვრცელი (Extended Migration Profile)* და *საგაზისო (Migration Profile Light)*. პრაღის პროცესი ასევე ეხმარება დაინტერესებულ ქვეყნებს მიგრაციის პროფილის დოკუმენტზე უშუალო მუშაობისას. *ვრცელი პროფილის*[4] ფორმატი ევროკომისიის მიერ 2010 წელს იქნა შემუშავებული. როგორც თავად სახელი მიუთითებს, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია მიგრაციული პროცესებისა და ქვეყნის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველი ვრცელი, პირველადი/დაუმუშავებელი სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენაზე, როგორიცაა ეკონომიკური განვითარების მონაცემები, ჯანდაცვის ხარჯები და სხვა. თუმცა, ამ მონაცემებს ყოველთვის არ ახლავს თან სიღრმისეული ანალიზი. მიგრაციის ვრცელ პროფილში ყურადღება ასევე გამახვილებულია მიგრაციის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზზე. მიგრაციის პირველი ვრცელი პროფილი საქართველოში 2011 წელს შემუშავდა ICMPD-ის მიერ განხორციელებული (ევროკომისიის მიერ დაფინანსებული) ინიციატივის - „მიგრაციის სფეროში პარტნიორობის ჩამოყალიბება (Building Migration Partnership)“ ფარგლებში. 2013 წლის მიგრაციის ვრცელი პროფილი კი უკვე საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ შემუშავდა. ორივე შემთხვევაში, მიგრაციის ვრცელი პროფილის დოკუმენტები მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ იქნა მიღებული.

---

[1] International Organization for Migration, What are Migration Profiles, https://www.iom.int/migration-profiles. ნანახია: 2016 წლის 20 იანვარს.

[2] ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მიგრაციის პროფილის დოკუმენტის ფორმატები, ისევე როგორც მიგრაციაზე ფოკუსირებული ქვეყნის პროფილები (Focus Migration Country Profiles) არაა განხილული დეტალურად, რადგან ისინი მიგრაციის სტატისტიკის და/ან სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს მხოლოდ მოკლე მიმოხილვას მოიცავენ.

[3] როგორც მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის პრაღის პროცესის ინტერაქტიულ-რუკაშია.(ICMPD Prague Process i-Map) აღნიშნული, „პრაღის პროცესი მიგრაციის მიზნობრივი პოლიტიკის დიალოგის პროცესია, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირის, შენგენის ზონის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, დასავლეთ ბალკანეთის, ცენტრალური აზიის ქვეყნებს, რუსეთსა და თურქეთს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბებას მიგრაციის სფეროში (50 მონაწილე ქვეყანა)“. http://www.icmpd.org/Prague-Process.1557.0.html, https://pragueprocess.eu/en/prague-process, ნანახია: 2016 წლის 22 იანვარს.

[4] პრაღის პროცესის ფარგლებში შემუშავებული მიგრაციის ვრცელი პროფილების ნიმუშები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე. http://www.imap-migration.org/index.php?id=37. ნანახია: 2016 წლის 20 იანვარს.

მიგრაციის საბაზისო პროფილი პირველად გერმანიაში, პრაღის პროცესის წევრ ქვეყანაში 2013 წელს შემუშავდა. დოკუმენტში ქვეყანაში არსებული მიგრაციული პროცესები ლაკონურად არის წარმოდგენილი.[5] განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია არა მარტო პირველადი/დაუმუშავებელი მონაცემების გამოყენებაზე, არამედ შესაბამის ანალიზზეც. დოკუმენტი მიგრაციის ვრცელ პროფილზე გაცილებით მოკლეა და ის ძირითადად მიმოიხილავს მიგრაციის იმ სფეროებს, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტული მიგრაციული კონტექსტისთვის არის უფრო რელევანტური. ეს ფორმატი საშუალებას იძლევა რომ დოკუმენტი ლაკონური იყოს, თუმცა, შესაძლოა, შედეგად, მიგრაციული პროცესების გარკვეული სფეროები სიღრმისეული ანალიზის გარეშე დარჩეს. ამასთანავე, გერმანიისთვის, რომელიც ამ დოკუმენტთან ერთად მიგრაციის ყოვლისმომცველ წლიურ ანგარიშებს ამზადებს, მიგრაციის საბაზისო პროფილის მიზანი სწორედ რომ მიგრაციის კონკრეტული სფეროების მოკლე მიმოხილვაა, და არა მიგრაციასთან დაკავშირებული ყველა სფეროს ანალიზი. მიგრაციის საბაზისო პროფილის პოპულარიზაციის მიზნით, პრაღის პროცესმა შეიმუშავა მიგრაციის საბაზისო პროფილზე მუშობის გზამკვლევი, რომელიც მიგრაციის საბაზისო პროფილის ფორმატის დოკუმენტის პრაქტიკაში დანერგვით დაინტერესებულ ქვეყნებს სასარგებლო რჩევებს სთავაზობს.[6]

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ შემუშავებული მიგრაციის პროფილი[7] ამ ტიპის დოკუმენტის ფორმატის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს. მასში მოცემულია როგორც მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემების სიღრმისეული ანალიზი, ისე ყურადღება გამახვილებულია ქვეყნების მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩოსა და მიგრაციის მართვაში ჩართულ უწყებებზე. ამასთანავე, პრაღის პროცესის მიგრაციის პროფილებისაგან განსხვავებით, რომელთა შემუშავებაც შესაბამისი ქვეყნების სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართულობით ხდება, რაც მათში მონაწილეობისა და „თანასაკუთრების“ განცდის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, IOM-ის მიგრაციის პროფილები უფრო ხშირად მისი მკვლევარების მიერ არის შემუშავებული. ამ პროცესში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) წევრი სახელმწიფოებისა და BSEC-ის დანაშაულის დაძლევის სამუშაო ჯგუფის (WGCC) მოსაზრებებია გათვალისწინებული, ხოლო მიგრაციის პროფილების დამტკიცება WGCC-ის მიერ ხდება.

საქართველოშიც, პროფილი პირველად სწორედ პროექტის „შავი ზღვის საკონსულტაციო პროცესი მიგრაციის მართვის შესახებ?“ ფარგლებში 2008 წელს IOM-ის მიერ შემუშავდა.[8] წლების განმავლობაში, ეს დოკუმენტი მიგრაციასთან დაკავშირებით მონაცემების ერთ-

---

[5] პრაღის პროცესის ფარგლებში შემუშავებული მიგრაციის საბაზისო პროფილის დოკუმენტის ნიმუში შეიძლება იხილოთ შემდეგ ბმულზე: http://www.imap-migration.org/fileadmin/PPP/PPTI_Migration_Profile_Light_Germany_EN.pdf. ნანახია: 2016 წლის 18 იანვარს.

[6] The Prague Process, Migration Profile Light: Production Guidelines, 2013. https://www.prague process.eu/fileadmin/PPP/Migration_Profile_Light_Manual_2013.pdf. ნანახია: 2016 წლის 22 იანვარს.

[7] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიგრაციის პროფილები პირველად შემუშავდა IOM-ის მიერ „ნაწილობრივ 2007 წლის ივნისით დათარიღებული, მიგრაციისადმი გლობალური მიდგომის გაფართოებისა და გაძლიერების შესახებ ევროკავშირის საბჭოს დასკვნების საპასუხოდ, ევროკავშირის მეზობელ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში მიგრაციისადმი გლობალური მიდგომის გამოყენებისა და ცირკულარული მიგრაციისა და პარტნიორობა მობილურობისთვის შესახებ კომისიის 2007 წლის მაისის კომუნიკაციაზე დაფუძნებით, რაც განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ქვეყნებზე ფოკუსირებული პროფილების შექმნაზე". იხ.: http://publications.iom.int/books/former-yugoslav-republic-macedonia-migration-profile-2007. ნანახია: 2016 წლის 4 თებერვალს.

[8] International Organization for Migration, Migration in Georgia: A Country Profile 2008, 2008, http://publications.iom.int/books/migration-georgia-country-profile-2008. ნანახია: 2016 წლის 29 თებერვალს.

ერთ ყველაზე სანდო წყაროს წარმოადგენდა. პრაღის პროცესის მსგავსად, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, ასევე შეიმუშავა ერთიან მიდგომასა და მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული გზამკვლევი მიგრაციის პროფილის დოკუმენტებზე მუშაობის ხელშესაწყობად.[9] საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი ეფუძნება რა მიგრაციის პროფილის შემუშავების უკვე არსებულ გამოცდილებას, მიზნად ისახავს ამ გამოცდილების შემდგომ განვითარებას. შესაბამისად, საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილის დოკუმენტის მიზანია, არა მხოლოდ ქვეყანაში 2010-2015 წლების მიგრაციული პროცესებისა და ტენდენციების ყოვლისმომცველი სურათის წარმოდგენა, არამედ დოკუმენტის თვისობრივად ახალი - საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის პილოტირება. საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის სტრუქტურა არსებულ მიგრაციულ პროცესებსა და ქვეყნის პოლიტიკასა და განვითარებას შორის ურთიერთკავშირის შესახებ დეტალური და ამავდროულად ლაკონური ანალიზის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, დოკუმენტის ფორმატი საკმაოდ მოქნილია, რათა მოერგოს განსხვავებული მიგრაციული გამოცდილების მქონე ქვეყნების მიგრაციულ კონტექსტს. საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთ განხილული მიგრაციის პროფილის სამი ფორმატისგან. ძირითად განსხვავებას წარმოადგენს მონაცემებსა და ანალიზს შორის ბალანსის დაცვის მცდელობა; განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმიგრაციისა და ემიგრაციის გავლენის დადგენაზე ქვეყნის განვითარების სხვადასხვა სფეროზე. შესაბამისად, მიგრაციის საშუალო ფორმატის პროფილში უფრო იშვითად გვხვდება პირველადი/დაუმუშავებელი მონაცემები, მეტი ყურადღება ეთმობა მონაცემების ახსნას. ასევე, მკითხველისთვის ადვილად გასაგები ფორმითაა წარმოდგენილი მიგნებები. ამასთანავე, დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ, იგეგმება მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის (წელიწადში ორი) შემუშავება, სადაც განიხილება საშუალო ფორმატის პროფილში იდენტიფიცირებული მიგრაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებები. მოკლე ფორმატის პროფილები გარკვეულწილად ეფუძნება საშუალო ფორმატის პროფილის დოკუმენტს, თუმცა მისი სტრუქტურა უფრო მარტივი და მოქნილია და შეუძლია მოერგოს მიგრაციის სფეროში ნებისმიერი ახალი მიმართულების ანალიზის საჭიროებას. მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილში მონაცემები სხვადასხვა ვიზუალური ტექნიკის გამოყენებით არის წარმოდგენილი რათა, ერთი მხრივ, მონაცემები და ანალიზი იოლად აღსაქმელი იყოს ფართო საზოგადოებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, მოხდეს საშუალო ფორმატის პროფილის პოპულარიზაცია დაინტერესებული საზოგადოების წევრებს შორის.

წინამდებარე გზამკვლევი შემუშავდა, რათა დახმარება გაუწიოს დაინტერესებულ ქვეყნებს საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის დოკუმენტების შემუშავებაში. შესაბამისად, იგი პირველ რიგში აღწერს საშუალო და მოკლე ფორმატის პროფილზე მუშაობის ყველა ძირითად ნაბიჯს, შემდეგ კი ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან კონკრეტულ მიმართულებებზე, და ახდენს პრობლემური სფეროების დაძლევის გზების იდენტიფიცირებას და გვთავაზობს მათი გადაჭრის გზებს.

წინამდებარე გზამკვლევი ეფუძნება საქართველოს *2015 წლის მიგრაციის პროფილის* დოკუმენტისა და *მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის* შემუშავების პროცესში

[9] International Organization for Migration, Migration Profiles. Making the Most of the Process, 2011, http://publications.iom.int/system/files/pdf/migrationprofileguide2012_1oct2012.pdf. ნანახია: 2016 წლის 29 თებერვალს.

მიღებულ გამოცდილებას და მიზნად ისახავს მიგრაციის პროფილის დოკუმენტზე მომუშავე კვლევითი გუნდისთვის გამოცდილების გაზიარებას. ამავდროულად, წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება ძირითადად საქართველოს კონტექსტს, გზამკვლევი უფრო ფართო პერსპექტივიდან გამომდინარე ყურადღებას ამახვილებს იმ გამოწვევებზე, რომლებიც შეიძლება დამახასიათებელი იყოს საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის, რომლებიც ზოგადად მიგრაციის სტატისტიკისა და განსაკუთრებით კი მიგრაციული ნაკადებისა და ჯგუფების შესახებ მონაცემების ნაკლებობას განიცდიან.

საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების შემუშავების პროცესი: ძირითადი ნაბიჯები

საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების შემუშავება როგორც მონაწილეობითი პროცესი

საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების უშუალოდ შემუშავების პროცესის განხილვამდე, აუცილებელია აღვნიშნოთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ პროცესში მიგრაციის მონაცემთა შეგროვებაში, ანალიზში, მიგრაციის მართვასა და პოლიტიკის შემუშავებაში აქტიურად მომუშავე ყველა შესაბამისი სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციის, განსაკუთრებით კი სამოქალაქო საზოგადოების და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველყოფა. მონაწილეობითი პროცესის შედეგად ყველა ჩართულ მხარეს უჩნდება ურთიერთპატივისცემის გრძნობა, ამასთანავე, ისინი ამ დოკუმენტების მიმართ პასუხისმგებლობასა და მხარდაჭერას გამოხატავენ, რადგან ისინი გარკვეულწილად დოკუმენტების თანაავტორებად აღიქვამენ თავს, რაც შესაძლებელს ხდის მათ მიერ სამუშაო პროცესის წარმატებულად წარმართვას. დაინტერესებული მხარეები მჭიდროდ თანამშრომლობენ მიგრაციის პროფილზე მომუშავე გუნდის წევრებთან, რომლებიც მიგრაციული კვლევების სიღრმისეული ცოდნით გამოირჩევიან.[10]

პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეთა რაოდენობიდან გამომდინარე, მონაწილეობითი პროცესი რამდენიმე მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: თუკი მათი რაოდენობა 15-20 შეადგენს, შეიძლება ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფი. ჯგუფი შეიძლება რეგულარულად (მაგ.: თვეში ერთხელ ან ორჯერ), ან საჭიროებისამებრ შეიკრიბოს, რათა მოხდეს სამუშაო პროცესის შესახებ სიახლეების გაზიარება, მიღწეული პროგრესის განხილვა, მონაცემების დაზუსტება თუ მათ ახსნასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა. ხოლო, თუკი დაინტერესებულ მხარეთა რაოდენობა 20-ს აღემატება, ეფექტიანი მონაწილეობითი პროცესის ხელშესაწყობად, იმის მაგივრად, რომ ყველა მათგანი ყველა ჩატარებულ შეხვედრაზე იქნას მოწვეული, რეკომენდებულია თემატური მიზნობრივი შეხვედრების გამართვა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთა დროული და ზუსტი ინფორმაციით უზრუნველყოფა დოკუმენტების შემუშავების პროცესის შესახებ. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების პარალელურად, შესაძლებელია პროცესის შესახებ სიახლეების ელექტრონული საშუალებებით (ელექტრონული ფოსტის მისამართების სია, „სკაიპ“-ის ზარები, და სხვა) რეგულარული (მაგ.: თვეში ერთხელ ან ორჯერ) გავრცელება და მიგრაციის პროფილის დოკუმენტის შემუშავების პროცესთან დაკავშირებული კონკრეტული ასპექტების - იქნება ეს მონაცემთა შეგროვება თუ ანალიზი - განხილვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზების მეშვეობით.

რა თვალსაზრისით შეიძლება იყოს სასარგებლო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა? ერთი მხრივ, ისინი ეხმარებიან მიგრაციის პროფილის დოკუმენტზე მომუშავე გუნდს რათა მათ რელევანტური მონაცემების, მონაცემთა ტიპებისა და

[10] მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესში, დოკუმენტზე სრული დატვირთვით მუშაობდა სამი მკვლევარი (სპეციალისტები სოციალური მეცნიერებებში, სამართალსა და უსაფრთხოების კვლევებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში), რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სამუშაო ჯგუფის წევრებთან.

წყაროების განსაზღვრა მოახდინონ. მეორე მხრივ, დაინტერესებულ მხარეებს დიდი წვლილი შეაქვთ მიგრაციის პროფილის გუნდისთვის თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სანდო მონაცემების მიწოდებაში. და ბოლოს, დაინტერესებული მხარეების წვლილი გადამწყვეტია მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის დროს და ანალიზის ახალი მიმართულების განსაზღვრისთვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ მონაცემები მიკერძოებულად არ არის წარმოდგენილი. შედეგად, უზრუნველყოფილია, რომ მიგრაციის პროფილის დოკუმენტში თავმოყრილია არა მარტო ყველა რელევანტური მონაცემი, არამედ უზრუნველყოფილია, რომ მათი ინტერპრეტაცია დასაბუთებულია და უზუსტობები შეძლებისდაგვარად თავიდან აცილებული. ასევე, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მონაწილეობითი პროცესი აძლიერებს პროფილის შემუშავების პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის პროცესზე პასუხისმგებლობისა და „თანასაკუთრების“ განცდას. ამრიგად, დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბება ერთ-ერთი პირველი მიზანია, რასაც მიგრაციის პროფილის გუნდმა უნდა მიაღწიოს დოკუმენტების წარმატებულად შემუშავების პროცესში.

საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესი და ვადები

საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესი საკმაოდ დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, რაც თავიდანვე უნდა იქნას გათვალისწინებული. ამასთანავე, იგი მიჩნეული უნდა იყოს როგორც ციკლური და არა სწორხაზოვანი პროცესი.

საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების სრული ციკლი შეიძლება უფრო სწრაფად წარიმართოს და 6 თვეზე ნაკლები დრო დაჭირდეს თუ:

- შესაბამისი ქვეყნის ინსტიტუციური კონტექსტი ნათლად არის განსაზღვრული;
- არსებობს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების გამოცდილება;
- სტრუქტურა და მონაცემების წყაროები უკვე განსაზღვრულია;
- რელევანტური მონაცემები ადვილად ხელმისაწვდომია და მათი ფორმატი სტატისტიკური ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.[11]

თუმცა, თუკი საჭიროა საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესის ყველა ეტაპის განსაზღვრა და შეთანხმება როგორც პროფილის სამუშაო ჯგუფში, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან, მთელ ციკლს დაახლოებით ერთი წელი დასჭირდება. N1 ილუსტრაციაში წარმოდგენილია საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესის ოთხივე ეტაპი და თითოეული ეტაპისთვის საჭირო დაახლოებითი დრო. მნიშვნელოვანია თითოეული ეტაპისთვის ოდნავ მეტი დროის დათმობა, განსაკუთრებით როდესაც პირველად ხდება ამ ტიპის დოკუმენტზე მუშაობის დაწყება. სწორედ მაშინ შეიძლება წამოიჭრას მოულოდნელი წინაღობები, რომლებმაც შესაძლოა პროცესი შეანელოს.

შენიშვნა: თითოეული ეტაპი ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთის წარმატებულ განხორციელებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, უკვე განსაზღვრული სტრუქტურა

[11] საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილის შემთხვევაში, სრული პროცესი დაახლოებით 11 თვე გაგრძელდა და ოთხივე ეტაპს მოიცავდა.

(ეტაპი 1) შეიძლება შეიცვალოს მონაცემთა შეგროვებისა და პირველადი ანალიზის (ეტაპი 2) შედეგად, ან უფრო მოგვიანებით, რედაქტირებისა და დოკუმენტის გადასინჯვის შემდეგ (ეტაპები 3 და 4).

ილუსტრაცია N1. საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესი და ვადები



მიგრაციის პროფილის დამტკიცებისთვის საჭირო ვადები დამოკიდებულია თითოეულ ქვეყანაში არსებულ ინსტიტუციურ მოწყობაზე და პრაქტიკებზე. შესაბამისად, ამ ეტაპისთვის გამოყოფილი ვადა კონკრეტული ქვეყნის კონტექსტზე იქნება დამოკიდებული.[12]

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესი და ვადები

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესი იწყება საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის დამტკიცების შემდეგ. მოკლე ფორმატის პროფილის თემების შერჩევა დამოკიდებულია სამაგიდო კვლევის შედეგებზე, რომელიც მიზნად ისახავს საშუალო ფორმატის პროფილის ძირითად მიმართულებებზე დაყრდნობით ახალი ტენდეციებისა და მონაცემების იდენტიფიცირებას.[13] რადგანაც მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი ახალი ტიპის დოკუმენტს წარმოადგენს, მისი სტრუქტურა უნდა

[12] საქართველოს შემთხვევაში, სადაც საშუალო ფორმატის პროფილის მიღება ხდება მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ, დამტკიცების პროცესი დაახლოებით ერთი თვე გაგრძელდა (პროფილის საბოლოო ვერსიის დაგზავნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრებს შორის, მიღებული კომენტარების/შემოთავაზებების გათვალისწინებით დოკუმენტის გადახედვა, კომისიის სხდომის მოწვევა და დოკუმენტის მიღება).

[13] მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, მოკლე ფორმატის პროფილის ერთ-ერთ თემად შეირჩა მიგრაციასა და დემოგრაფიული განვითარებებს შორის ურთიერთკავშირი. ამ თემის ანალიზის საჭიროება გამოვლინდა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პირველადი შედეგების ჭრილში. აღწერის სრული მონაცემები არ იყო გამოქვეყნებული საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების დროს, რამაც დამატებითი ანალიზის საჭიროება გამოავლინა. მეორე თემად შეირჩა იმიგრანტებისა და კერძოდ, საგანმანათლებლო იმიგრანტების მიერ საქართველოს განათლების სისტემაში როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ისე მათი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და მათ კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინება.

ჩამოყალიბდეს მიგრაციის პროფილის გუნდის მიერ სამუშაო ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობით, ხოლო მთლიანი პროცესისთვის, სულ მცირე, 6 თვიანი პერიოდი იქნება საჭირო. თუმცა მთელი ამ დროის განმავლობაში, შესაძლოა, სრული დატვირთვით არ იყოს საჭირო მუშაობა, რადგან მხოლოდ ერთ თემაზე მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შედარებით მცირე ზომის დოკუმენტის შემუშავების პროცესი არაა ისეთი შრომატევადი და ხანგძლივი, როგორც საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემთხვევაში. ამასთანავე, მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესის დაგეგმვისას ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ციფრული დიზაინისა და ვიზუალიზაციისათვის საჭირო დრო.

N2 ილუსტრაციაში წარმოდგენილია მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესის თითოეული ეტაპი და თითოეული ეტაპისთვის საჭირო დრო. საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების ვადების მსგავსად, რეკომენდებულია შედარებით მეტი დროის დათმობა თითოეული ეტაპისთვის, რათა შესაძლებელი იყოს მოულოდნელ გამოწვევებზე დროული რეაგირება ისე, რომ არ მოხდეს პროცესის შენელება.

ილუსტრაცია N2. მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესი და ვადები



საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის დამტკიცების პროცედურების მსგავსად, მოკლე ფორმატის პროფილის დამტკიცების პროცედურები და მათთვის საჭირო დრო განსხვავდება ქვეყნის კონტექსტიდან გამომდინარე და შესაბამისად, ეს გარემოებები გათვალისწინებული უნდა იყოს მიგრაციის პროფილზე მომუშავე გუნდის მიერ.

შენიშვნა: როგორც საშუალო, ისე მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემთხვევაში, რეკომენდებულია მიგრაციის პროფილზე მომუშავე გუნდში უფლება-მოვალეობებისა და შრომის გადანაწილება, როდესაც პროცესის კოორდინაციის მიზნით ჯგუფის ერთი წევრი განახორციელებს ზედამხედველობას. რეკომენდებულია რეგულარული შიდა შეხვედრების გამართვა, რათა მოხდეს მიღწეული პროგრესის გაზიარება და პრობლემების ეფექტურად გადაჭრა.

საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის სტრუქტურა

ქვემოთ მოყვანილი საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის სტრუქტურა მიგრაციული პროცესების ყველა ძირითად ასპექტს მოიცავს, მათ შორის, ემიგრაციას, იმიგრაციას, დაბრუნებით მიგრაციას, შიდა მიგრაციას, საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოს ანალიზს და მიგრაციის გავლენას ქვეყნის დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ნათელია, რომ კონკრეტული ქვეყნის მიგრაციული მდგომარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სტრუქტურის საჭიროებისამებრ მორგება შესაბამისი ქვე-თავების დამატებით, მოდიფიცირებით, ან გაუქმებით. მაგალითად, ქვეყანაში, სადაც არ არიან იძულებით გადაადგილებული პირები ან ეკომიგრანტები, ეს ქვეთავები არ იქნება რელევანტური. მეორე მხრივ, ქვეყნისთვის, სადაც იმიგრაციული ნაკადები გაცილებით უფრო მოცულობითია ვიდრე ემიგრაციული ნაკადები, ლოგიკურია მეტი დროის და რესურსების დათმობა იმიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებისთვის, რადგან ამ შემთხვევაში სწორედ რომ იმიგრაცია წარმოადგენს ქვეყანაში მიგრაციული მდგომარეობის მთავარ მახასიათებელს.

დოკუმენტის თითოეული ნაწილის მიზნები და თემატიკა მოკლედაა მიმოხილული ქვემოთ.[14]

მოკლე შინაარსი

მოკლე შინაარსი საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან იგი მკითხველს მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებების შეჯამებას აცნობს. ამ ნაწილის მიზანია ძირითად საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რათა მკითხველს, რომელმაც შესაძლოა ვერ შეძლოს მთელი დოკუმენტის წაკითხვა, ნათელი წარმოდგენა შეექმნას ქვეყანაში მიგრაციული პროცესების შესახებ, თუ როგორ ვითარდება მიგრაციის პოლიტიკა და რამდენად ეფექტიანად ხდება ქვეყანაში მიგრაციის მართვა.

ზოგადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ

ამ ნაწილის მიზანია ქვეყნის განვითარების ამსახველი მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა - ცხრილში განთავსებულია ინფორმაცია ქვეყნის ტერიტორიის საერთო ფართობის, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), მოსახლეობის რაოდენობისა და ბუნებრივი მატების კოეფიციენტის შესახებ. ამ ნაწილს შეიძლება თანდართული ჰქონდეს ქვეყნის რუკა და/ან დროშა. ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები მორგებული უნდა იყოს თითოეული ქვეყნის კონკრეტულ კონტექსტზე.

[14] საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის სტრუქტურის ამსახველი ცხრილი შესაბამისი მონაცემთა წყაროებისა და მონაცემთა ტიპების მითითებით წარმოდგენილია დანართი 1-ში.

ნაწილი A. მიგრაციული ტენდენციები

ამ ნაწილის მიზანია, ქვეყანაში კონკრეტული დროის მონაკვეთში არსებული მიგრაციული პროცესების მაქსიმალურად სრული სურათის წარმოდგენა. იქნება ეს ხუთი თუ ათი წლის პერიოდი, წინასწარ უნდა განისაზღვროს დოკუმენტზე მომუშავე გუნდისა და პროფილის შემუშავების პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ. ეს ნაწილი შემდეგი ქვეთავებისგან შედგება: სიტუაციის მიმოხილვა, ემიგრაცია, იმიგრაცია, დაბრუნებითი მიგრაცია, შიდა მიგრაცია და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).

A1. სიტუაციის მიმოხილვა

ეს ნაწილი მიმოიხილავს ამა თუ იმ ქვეყნის ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ მიგრაციულ ვითარებაზე. მაგალითად, სამუშაო ადგილების ნაკლებობამ, უმუშევრობამ ან დაბალმა ანაზღაურებამ შეიძლება გავლენა იქონიოს სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის ემიგრაციაზე, და პირიქით, კარგი განათლებისა თუ დასაქმების შესაძლებლობებმა თუ გულუხვმა თავშესაფრის სისტემამ - იმიგრაციული ნაკადების ზრდაზე. შესაბამისად, სიტუაციის ანალიზის ნაწილში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტორებზე, რომლებმაც მიგრაციული პროცესები შეიძლება ან წაახალისოს, ან ხელი შეუშალოს. რეკომენდებულია, რომ ეს ნაწილი არ იყოს ვრცელი (დაახლოებით 2-3 გვერდი). მოცულობითი/ვრცელი ცხრილები (საჭიროების შემთხვევაში) დანართებში უნდა განთავსდეს, ხოლო ამ ნაწილში ძირითადი ყურადღება იმ ფაქტორების იდენტიფიცირებაზე უნდა გაკეთდეს, რომლებიც გავლენას ახდენენ მიგრაციულ ნაკადებზე.

შესაძლო ინდიკატორები: *დასაქმების/უმუშევრობის მონაცემები; სიღარიბის ინდიკატორები; ჯინის კოეფიციენტი; ჰუმანური (ადამიანური) განვითარების ინდექსი; მშპ; მშპ-ს ხარჯვითი წილი ჯანდაცვასა და განათლებაზე; დემოგრაფიული ინდიკატორები (როგორიცაა, მაგალითად, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ბუნებრივი მატების კოეფიციენტი).*

A2. ემიგრაცია და A 3. იმიგრაცია

ემიგრაციისა და იმიგრაციის ნაწილები ერთი და იგივე სტრუქტურით არის აგებული: პირველ რიგში მიმოხილულია ემიგრაციის/იმიგრაციის ძირითადი მახასიათებლები, შემდეგ - ემიგრანტების/იმიგრანტების ჯგუფები და ბოლოს, წარმოდგენილია საერთაშორისო დაცვის [15] საკითხებისა და ლეგალური და არალეგალური ემიგრაციის/იმიგრაციის ანალიზი (იხილეთ ჩანართი N1).

[15] საქართველოს 2015 წლის საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვის საკითხები გაერთიანებული იყო ემიგრაციის (საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების საერთაშორისო დაცვა) და იმიგრაციის (უცხო ქვეყნის მოქალაქეების საერთაშორისო დაცვა საქართველოში) ნაწილებში როგორც ქვეთავები. თუმცა, კონკრეტული ქვეყნის კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება გადაწყდეს საერთაშორისო დაცვის საკითხისადმი ცალკე თავის მიძღვნა.

ჩანართი N1. საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილის ემიგრაციისა და იმიგრაციის თავები

A2. ემიგრაცია
- ემიგრაციის მიმოხილვა
- ემიგრანტების მიმოხილვა
- ლეგალური ემიგრაცია
- საერთაშორისო დაცვა
- ქართველ ემიგრანტთა უკანონო მიგრაცია

A3. იმიგრაცია
- იმიგრაციის მიმოხილვა
- იმიგრანტთა მიმოხილვა
- საერთაშორისო დაცვა
- კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი იმიგრანტები

ამ ნაწილებში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ყველა რელევანტური მონაცემის ანალიზი, რათა ზედმიწევნით ზუსტად წარმოვადგინოთ ემიგრანტების, იმიგრანტების და თავშესაფრის მაძიებელთა/ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა მიგრაციული ქცევის მოდელები, არამედ უნდა მოვახდინოთ მიგრანტთა ჯგუფების ძირითადი ტიპების, დანიშნულების/წარმომავლობის ქვეყნების და დანიშნულების ქვეყნებში მათი დამკვიდრების პროცესების იდენტიფიცირება. შესაბამისად, აუცილებელია განვიხილოთ ემიგრანტთა და იმიგრანტთა განსხვავებული ჯგუფები - ვინც შრომითი, სამეწარმეო, საგანმანათლებლო, ოჯახის გაერთიანებისა თუ სხვა მიზნით დატოვა სამშობლო. ასევე მნიშვნელოვანია მათი სამართლებრივი სტატუსიც - ლეგალურად თუ არალეგალურად იმყოფებიან ქვეყანაში.

ხშირად საჭიროა მონაცემების სხვადასხვა წყაროებიდან მიღება კონკრეტული ჯგუფის შესახებ უფრო სრული სურათის შესაქმნელად. მაგალითად, საქართველოს საშუალო და მოკლე ფორმატის პროფილების შემთხვევაში, განათლების მიღების მიზნით ჩამოსული იმიგრანტების ჯგუფის ანალიზისას, ჩვენ შევაგროვეთ მონაცემები როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო ბინადრობის ნებართვების გაცემაზე, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, რომელიც თავს უყრის უცხოელი სტუდენტების შესახებ მონაცემებს უნივერსიტეტებიდან. ამ კუთხით, ჩვენ არა მარტო შევძელით ორი განსხვავებული წყაროდან მიღებული მონაცემების შედარება, არამედ განვსაზღვრეთ, თუ სად არიან იმიგრანტი სტუდენტები გეოგრაფიულად კონცენტრირებულნი და რომელი უნივერსიტეტები და პროგრამები იზიდავთ მათ უფრო მეტად.

საქართველოს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემთხვევაში, ამ ნაწილებზე მუშაობისას ძირითადი გამოწვევები სანდო მონაცემების არსებობასთან ერთად მონაცემების არ-არსებობას უკავშირდებოდა, განსაკუთრებით კი ემიგრანტების ჯგუფებისა და ნაკადების ანალიზისას. ასეთ შემთხვევებში, შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებითი მონაცემები იყო გამოყენებული. ამასთანავე ეს ასპექტი განხილული იყო დოკუმენტის ძირითადი მიგნებებისა და რეკომენდაციების ნაწილში, როგორც ერთ-ერთი გამოწვევა, რომელსაც გადაწყვეტა სჭირდება.

შესაძლო ინდიკატორები: *ემიგრანტების და იმიგრანტების რაოდენობა წარმოშობის/დანიშნულების და დაბადების/მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით; ბინადრობის ნებართვის განაცხადებისა და მათი დაკმაყოფილების სტატისტიკა ბინადრობის ნებართვის ტიპისა და განმცხადებლის წარმოშობის ქვეყნის/სქესის/ასაკის მიხედვით; თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადებისა და მათი დაკმაყოფილების სტატისტიკა თავშესაფრის ტიპისა და განმცხადებლის წარმოშობის/დანიშნულების ქვეყნის და ასაკის მიხედვით; ასეთის არსებობის შემთხვევაში, საზღვრის უკანონო კვეთის/უკანონოდ ყოფნის გამოვლენის/გაძევებისა და დაკავების შესახებ სტატისტიკა მიგრანტის წარმოშობის ქვეყნის/სქესის/ასაკის მიხედვით .*

A4. დაბრუნებითი მიგრაცია

დაბრუნებითი მიგრაციის ნაწილის მიზანია, როგორც ნებაყოფლობით, ისე იძულებით და რეპატრიაციის შედეგად დაბრუნებულ მიგრანტთა შესახებ მონაცემების წარმოდგენა. მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უწყობს დაბრუნებას, როგორია დაბრუნებულთა გენდერული და ასაკობრივი შემადგენლობა, რომელი ქვეყნებიდან ბრუნდებიან ისინი და რამდენად მდგრადია დაბრუნების პროცესი. აშკარაა, რომ დაბრუნებულთა რაოდენობის განხილვისას ეს მონაცემები ქვეყანაში არსებულ რეინტეგრაციის, უნარ-ჩვევების ამაღლებისა და ტრანსფერის შესაძლებლობებს უნდა დავუკავშიროთ, რაც დოკუმენტის B ნაწილშია დეტალურად განხილული.

თუმცა, ქვეყანაში დაბრუნებითი მიგრაციის ყოვლისმომცველი ანალიზის განხორციელება შეიძლება პრობლემური იყოს, რადგან, საქართველოს მსგავსად, არც ისე ბევრ ქვეყანაში მოიძებნება სახელმწიფო უწყება თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაბრუნებითი მიგრაციის შესახებ სისტემატურად აგროვებს მონაცემებს (საქართველოს შემთხვევაში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტრო აგროვებს მონაცემებს მხოლოდ არალეგალური სტატუსით დაბრუნებული მიგრანტების შესახებ). ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია დაბრუნებითი მიგრაციის პროცესში ჩართული ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარის იდენტიფიცირება და თითოეული მათგანისგან ინფორმაციის გამოთხოვნა, რათა ანალიზის პროცესისას მოვახდინოთ მათი კონსოლიდაცია. დამოუკიდებელი მკვლევრებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების მიერ მოპოვებული მონაცემები ინფორმაციის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. სახელმწიფო თუ არა სახელმწიფო რეინტეგრაციის პროგრამების ბენეფიციარების რაოდენობის შესახებ მონაცემებმა შესაძლოა განსხვავებული პერსპექტივა შესძინოს ანალიზის პროცესს.

შესაძლო ინდიკატორები: *რეადმისიის სტატისტიკა წარმოშობის ქვეყნის, სქესის/ასაკის მიხედვით; გაძევების სტატისტიკა წარმოშობის ქვეყნის, სქესის/ასაკის და გაძევების მიზეზი; IOM-ის ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის (AVRR) პროგრამის სტატისტიკა; დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციარების სტატისტიკა წარმოშობის ქვეყნის/სქესის/ასაკის/გაწეული დახმარების ტიპის მიხედვით; დაბრუნებულების სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.*

A 5. შიდა მიგრაცია

შიდა მიგრაციის ნაწილის მიზანს ქვეყნის შიგნით ყველა ტიპის გადაადგილების ანალიზი წარმოადგენს. იძულებითი მიგრაციისგან განსხვავებით, რომელიც კონფლიქტებით თუ ბუნებრივი კატასტროფებით არის გამოწვეული და შეიძლება ყველა ქვეყნისთვის არ იყოს დამახასიათებელი, დიდი ალბათობით, სხვადასხვა სახის ნებაყოფლობითი შიდა მიგრაციული ნაკადები ქვეყნების უმრავლესობაში იქნება შესამჩნევი. ამგვარად, ამ ნაწილში მნიშვნელოვანია მიგრაციული ტენდენციების იდენტიფიცირება, რაც, შეიძლება მიუთითებდეს კონკრეტული ტერიტორიების დეპოპულაციაზე და სხვა დასახლებულ პუნქტებში კი მოსახლეობის გადაჭარბებულ ზრდაზე, ან სოფლად თუ ქალაქად მოსახლეობის ზრდაზე (ე.წ. „რურალიზაციასა“ თუ „ურბანიზაციაზე“). სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით გაანალიზებული მონაცემები ნათელს ჰფენს შიდა მიგრაციული ნაკადების შემადგენლობას. სწორედ ამიტომ, საჭიროა ამ მიგნებების შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში გათვალისწინება, რაც ნათლად უნდა აისახოს დოკუმენტის დასკვნით ნაწილში.

საქართველოს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემთხვევაში, დოკუმენტში შევიდა მონაცემები იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეკომიგრანტთა შესახებ - არა მხოლოდ მათი აბსოლუტური რაოდენობის, ასევე მათი წარმოშობის რეგიონების, ამჟამინდელი განსახლების ადგილის, ასაკისა და სქესის მიხედვით (იხ. ჩანართი N2). შიდა მიგრანტების ამ ორი ჯგუფის გავლენა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურაზე განხილულია დოკუმენტის B ნაწილში.

ჩანართი N2. საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილის შიდა მიგრაციის თავი
A5. შიდა მიგრაცია იძულებით გადაადგილებული პირები ეკოლოგიური მიგრანტები მიგრაცია სოფლიდან ქალაქში - ქალაქიდან სოფელში

შესაძლო ინდიკატორები: *საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის სტატისტიკა რეგიონის/სქესის/ასაკის მიხედვით; იძულებით გადაადგილებულ პირთა/ეკომიგრანტების და შიდა მიგრანტების სხვა ჯგუფების დინამიკა სოციალურ-დემოგრაფიულ და გეოგრაფიულ ჭრილში.*

A6. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

მნიშვნელოვანია ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხების მიგრაციის პროფილში განხილვა, განსაკუთრებით ქვეყნების მიერ ტრეფიკინგის დაძლევის მიზნით განხორციელებული ძალისხმევის ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების რაოდენობა არ არის დიდი, მათი ანალიზი მნიშვნელოვან მიგნებებს გვთავაზობს ტრეფიკინგის მარშრუტების განსაზღვრისათვის და იმის დასადგენად, თუ რა ფორმით არის ქვეყანა ჩართული ტრეფიკინგში - როგორც დანიშნულების, ტრანზიტის თუ წარმოშობის ქვეყანა. ხოლო

ტრეფიკინგის მსხვერპლთა სქესისა და ასაკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება, რომელთა შემთხვევაშიც უფრო მაღალია ალბათობა, რომ ისინი ტრეფიკინგის მსხვერპლნი გახდნენ სექსუალური თუ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით.

შესაძლო ინდიკატორები: *საერთაშორისო ტრეფიკინგის სტატისტიკა, USAID-ის ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის (Countering Trafficking in Persons) სტატისტიკის ჩათვლით; ადგილობრივი პასუხისმგებელი ორგანოების მიერ წარმოებული ტრეფიკინგის სტატისტიკა; ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოებული ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სტატისტიკა; ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების მონაცემები.*

ნაწილი B. მიგრაციის გავლენა

თუ რა გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესები ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე ამ ნაწილის სიღრმისეული განხილვის საგანს წარმოადგენს. ამისთვის კი საჭიროა ეკონომიკური განვითარების, და განსაკუთრებით უცხოელების შრომით ბაზარზე ჩართულობის, ფულადი გზავნილების, უცხოელთა ეკონომიკური საქმიანობების, მათი ინტეგრაციისა და დაბრუნებული მოქალაქეების რეინტეგრაციის შესახებ მონაცემების შეგროვება (იხილეთ ჩანართი N3).

ჩანართი N3. საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილის მიგრაციის გავლენის თავი

B1. დემოგრაფიული ასპექტი
B2. ეკონომიკური ასპექტი
- ფულადი გზავნილები
- იმიგრაციის ეკონომიკური ზეგავლენა
- დიასპორის ჩართულობა
- უნარ-ჩვევების განვითარება და ცოდნის ქსელები

B3. სოციალური ასპექტი - ინტეგრაცია
- დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაცია
- უცხოელთა ინტეგრაცია
- საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტეგრაცია
- შიდა მიგრანტების ინტეგრაცია

A ნაწილისგან განსხვავებით, B ნაწილი მიზნად ისახავს ყურადღების გამახვილებას იმ ურთიერთკავშირებზე, რაც მიგრაციასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის და მიგრაციისა და დემოგრაფიულ განვითარებას შორის არსებობს. საკითხები, როგორიცაა ინტელექტის შემოდინება (brain gain), ინტელექტის გადინება (brain drain), უნარ-ჩვევების გაზიარება, დიასპორის ჩართულობის პოტენციალი და პრაქტიკული მაგალითები, იმიგრანტების ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება, კონკრეტული ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით სიღრმისეულად უნდა იყოს განხილული.

B1. დემოგრაფიული ასპექტი

ფაქტი, რომ მიგრაციული პროცესები გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობასა და რიცხოვნობაზე, საყოველთაოდაა აღიარებული. თუმცა, უნდა განისაზღვროს თუ როგორია ეს გავლენა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში და სწორედ ეს არის ამ ნაწილის მიზანი. ძალზედ მნიშვნელოვანია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების გაანალიზება არა მხოლოდ მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობის ჭრილში, არამედ ასევე მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფების დინამიკასთან მიმართებაში (სქესი, გეოგრაფიული ასპექტი, ასაკი). მაგალითად, თუ ზოგადი ტენდენცია მიუთითებს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებაზე, განსაკუთრებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ბუნებრივი მატების მაჩვენებელი სტაბილურია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ეს ემიგრაციის ზრდის ინდიკატორი შეიძლება იყოს. ხოლო თუ *ceteris paribus* ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობის რიცხოვნობაში უფრო მნიშვნელოვანი შემცირება შეინიშნება მდედრობითი სქესის მოსახლეობის შემთხვევაში, ეს სავარაუდოდ მიუთითებს, რომ მეტი ქალი მიდის ემიგრაციაში ვიდრე კაცი. ამ მიგნების ზეგავლენის შემდგომი კვლევა შეიძლება საჭირო იყოს, რათა შემუშავდეს ისეთი პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც დააკმაყოფილებენ სამშობლოში დარჩენილი ბავშვებისა და მოხუცების საჭიროებებს, ან დაბრუნებული მიგრანტი ქალებისთვის სპეციალურ რეინტეგრაციის პროგრამებს განავითარებენ. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შეიძლება საჭიროებდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას და შრომითი ძალის იმპორტის ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავებას. მეორე მხრივ, თუკი მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება, მნიშვნელოვანია დადგინდეს რა განაპირობებს ზრდას - ბუნებრივი მატება, იმიგრაცია, თუ დაბრუნებითი მიგრაცია - და ამ მიგნებებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები.

შესაძლო ინდიკატორები: *მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები კოეფიციენტების ჩათვლით (მაგალითად, მოსახლეობის რიცხოვნობა გეოგრაფიულ, ასაკობრივ, გენდერულ ჭრილში; მოსახლეობის განათლების დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ბუნებრივი მატების/მოკვდაობის მაჩვენებელი); კვლევების მონაცემები დემოგრაფიული განვითარების სამომავლო ტენდენციებზე და მათ შესაძლო ეკონომიკურ და სოციალურ ზეგავლენაზე.*

B2. ეკონომიკური ასპექტი

ეკონომიკური ასპექტის ნაწილში რეკომენდებულია რამდენიმე სფეროზე აქცენტის გაკეთება. პირველ რიგში, განხილული უნდა იყოს ზოგადად **ემიგრაციის ეკონომიკური** კერძოდ, **ფულადი გზავნილების** ზეგავლენა. კონკრეტული ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლოა მეტი ყურადღების გამახვილება იყოს საჭირო ფულადი გზავნილების შემოდინების, ვიდრე გადინების ანალიზზე. თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ორივე ასპექტის დეტალური განხილვა. ფულადი გზავნილების მოცულობის მიმოხილვის შემდეგ (შემოდინება და გადინება), მნიშვნელოვანია მათი გავლენის ანალიზი მიკრო და მაკრო დონეებზე. დაბალანსებული და დასაბუთებული ანალიზისთვის საჭიროა უკვე არსებული მონაცემების მეორადი ანალიზის განხორციელება და ფულადი გზავნილებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურის მიგნებების მიმოხილვა.

მეორე მხრივ, იმიგრანტთა მიმღები ქვეყნების შემთხვევაში **იმიგრაციის ეკონომიკური გავლენა** უნდა იქნეს განხილული - მაშინ, როდესაც დანიშნულების ქვეყნებში იმიგრაცია უფრო პრობლემების ვიდრე ეკონომიკური განვითარების წყაროდ აღიქმება, კვლევების თანახმად, იმიგრანტებმა დადებითი როლი შეუძლიათ ითამაშონ ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროცესში. იმიგრანტების სამეწარმეო აქტივობა პირველ რიგში უკავშირდება მცირე და საშუალო ბიზნესის და/ან თვითდასაქმების შესაძლებლობების გამოყენებას ისეთ სფეროებში, რასაც ხშირად ადგილობრივი მოსახლეობა ყურადღების მიღმა ტოვებს. ფინანსური კაპიტალის დაბანდების გარდა, იმიგრანტებმა შესაძლოა ინოვაციები და ახალი უნარები შემოიტანონ, რამაც, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, გრძელვადიანი გავლენა შეიძლება იქონიოს ეკონომიკურ განვითარებაზე, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეებზე. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია იმ სფეროების იდენტიფიცირება, რომლებიც ყველაზე მეტად იზიდავენ ინვესტიციებს და იმიგრანტების ეკონომიკური წვლილის ანალიზი.

ასევე, მნიშვნელოვანია **ადგილობრივი შრომის ბაზრის** ანალიზი, როგორც იმიგრაციასთან, ასევე ემიგრაციასთან მიმართებაში. შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის, იმიგრანტებისათვის მიმზიდველი დასაქმების სფეროების, ისევე როგორც იმ სფეროების, სადაც უფრო ხშირად არიან დასაქმებული იმიგრანტები, იმიგრანტი მუშა ხელის ხელფასებზე და დასაქმების შესაძლებლობებზე ზეგავლენის ანალიზი უაღრესად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის პოლიტიკისა და რეგულაციების ჩამოყალიბებისას. ამასთანავე, შრომის ბაზარზე ემიგრაციის გავლენის შესწავლა შესაძლოა დაგვეხმაროს კონკრეტულ პროფესიებზე მუშახელის დეფიციტსა და ემიგრანტების პროფესიულ მახასიათებლებს შორის კავშირის დადგენაში.

ასევე, წარმომადგენლობითი დიასპორის მქონე ქვეყნებისთვის საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის დოკუმენტში განხილული უნდა იყოს **დიასპორის ჩართულობის საკითხი,** განსაკუთრებით - ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ეს შესაძლოა რთული იყოს, რადან შესაბამისი მონაცემების მოპოვება შეიძლება არ იყოს მარტივი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, ამ საკითხზე დისკუსიის წამოწყება და წახალისება, ისევე როგორც ცალკეული მაგალითების ანალიზი მნიშვნელოვანია, იმისათვის რომ ყურადღება გავამახვილოთ დიასპორის მიერ ქვეყნის განვითარებაში არსებულ თუ პოტენციურ წვლილზე.

და ბოლოს, იმის განხილვა, თუ როგორ ხდება დაბრუნებული მიგრანტებისა და იმიგრანტების **ცოდნისა** და **ახალი უნარ-ჩვევების** ადგილობრივ კონტექსტში გამოყენება, დოკუმენტის ამ ნაწილის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა რთული აღმოჩნდეს მონაცემთა შეგროვება და ამ თვალსაზრისით სოციალური კვლევების შედეგები განსაკუთრებით ღირებული შეიძლება იყოს. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემების განზოგადება შეიძლება ვერ მოხერხდეს დაბრუნებულ მიგრანტთა თუ იმიგრანტების ერთობლიობაზე, ამ მონაცემებმა შესაძლოა გვიჩვენოს, თუ რომელ სფეროებში და რა პირობებში ხდება გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენება, ან რა აფერხებს ამ პროცესს.

შესაძლო ინდიკატორები: *ფულადი გზავნილების სტატისტიკა (შემოდინება და გადინება); პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა; ფულადი გზავნილების გავლენის*

შესახებ კვლევების მეორადი მონაცემები; ეკონომიკის მაკრო და მიკრო ინდიკატორები (დასაქმება, მშპ, ინფლაცია, მიწოდება და მოთხოვნა საქონლისა და მომსახურების ინდივიდუალურ ბაზრებზე და, კერძოდ, მოთხოვნა და მიწოდება მუშახელზე [16]); ემიგრაციისა და იმიგრაციის შრომით ბაზარზე გავლენის შესახებ კვლევების მონაცემები; შრომითი და საინვესტიციო ბინადრობის ნებართვების სტატისტიკა; იმიგრანტების სამეწარმეო საქმიანობის სტატისტიკა (იმიგრანტების მიერ დარეგისტრირებული ბიზნესები, იმიგრანტების მიერ დაწყებული ბიზნესების ტიპები, იმიგრანტი მეწარმეების მიერ გადახდილი გადასახადების დინამიკა); დიასპორის სტატისტიკა და სოციალურ-ეკონომიკური პროფილი; დიასპორული ინვესტიციების სტატისტიკა; იმიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების ცოდნის და უნარ-ჩვევების გამოყენების შესახებ კვლევების მონაცემები.

B3. სოციალური ასპექტი - ინტეგრაცია

სოციალური ასპექტის ნაწილში ყურადღება გამახვილებულია უცხოელების, მათ შორის საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტეგრაციასა და დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციაზე. პირველ შემთხვევაში, განსაკუთრებით როდესაც საქმე საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირებს ეხება, ინტეგრაციის მექანიზმები მეტწილად ინსტიტუციონალიზებულია, ხოლო უცხოელების ინტეგრაციის და დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის საქმიანობების განხორციელებაში შესაძლოა ხშირად საერთაშორისო ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები იყოს ჩართული. ამგვარად, ამ ნაწილზე მუშაობის პირველ ეტაპზე ინტეგრაცია/რეინტეგრაციის პროცესში ჩართული ყველა შესაბამისი აქტორის გამოსავლენად წინასწარ უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაო, რასაც მონაცემების გამოთხოვნა და ანალიზი მოჰყვება.

მნიშვნელოვანია ყურადღება დავუთმოთ იმიგრანტების ინტეგრაციის სოციალურ-კულტურულ ასპექტებს. იმიგრანტების მიერ მიმღები საზოგადოების სოციალურ და კულტურულ გარემოში შეტანილი ცვლილებების განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისთვის, სადაც იმიგრანტების დიდი რაოდენობაა. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ემიგრანტებისა და დიასპორის წარმომადგენლების გავლენის ანალიზი იმ ქვეყნების საზოგადოებრივ და კულტურულ ნორმებზე, რომელთაც ემიგრაციის შედარებით მაღალი დონე ახასიათებთ და/ან საზღვარგარეთ დაფუძნებული დიასპორული ჯგუფები ჰყავთ. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები არ იყოს ხელმისაწვდომი, შესაბამისად, იმიგრანტების ინტეგრაციის შესახებ თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით ჩატარებული აკადემიური კვლევების შედეგები განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება იყოს.

შესაძლო ინდიკატორები: *შიდა მიგრანტების (იძულებით გადაადგილებული პირები, ეკომიგრანტები, მიგრანტები სოფლიდან ქალაქში), დაბრუნებული მიგრანტებისა და იმიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები და გეოგრაფიული განაწილება; ინტეგრაციის პროგრამების სტატისტიკა (როგორც სახელმწიფო ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოებული); იმიგრანტების ინტეგრაციის, შიდა*

[16] დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატია: http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/basics/bigsmall.htm, ნანახია: 2016 წლის 7 მარტს.

მიგრანტებისა და დაბრუნებულთა რეინტეგრაციისა და სოციალურ-კულტურული ზეგავლენის შესახებ კვლევების შედეგების მეორადი ანალიზის მონაცემები.

ნაწილი C. მიგრაციის მართვა

ამ ნაწილში განხილულია ქვეყნის მიგრაციის მართვის სამი სფერო: მიგრაციის პოლიტიკის, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები. რეკომენდებულია, რომ ეს ნაწილი მოკლე იყოს და დეტალური აღწერის ნაცვლად მოიცავდეს ყველაზე მნიშვნელოვანი თემებისა და მიმართულებების ლაკონურ მიმოხილვას. ეს განსაკუთრებით მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც ქვეყანაში მიგრაციის მართვის ანალიზის ანგარიში უკვე არსებობს, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში იყო.[17]

C1. მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩო

მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩოს ნაწილში უნდა განიხილოთ ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკასთან და მის შემუშავებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი სფერო. საქართველოს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემთხვევაში ყურადღება გავამახვილეთ შემდეგზე: მიგრაციის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვა, დოკუმენტების უსაფრთხოება, უცხოელთა ნაკადებისა და გადაადგილების მართვა, თავშესაფრის, დაბრუნებისა და რეადმისიის მართვა და მიგრაციის სტატისტიკა. თუმცა, ეს სფეროები შეიძლება სულაც არ იყოს თითოეული ქვეყნისთვის რელევანტური. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ მიგრაციის პროფილის დოკუმენტის გუნდმა სამუშაო ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობით გადაწყვიტოს, თუ რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ამ ნაწილში.

C2. საკანონმდებლო ჩარჩო

საკანონმდებლო ჩარჩოს ნაწილის მიზანია იმ ძირითადი საკანონმდებლო აქტების იდენტიფიცირება, რომელიც ქვეყნაში მიგრაციის სფეროს არეგულირებს. თითოეულ კანონს თუ რეგულაციას თან უნდა ახლდეს მისი ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და სამიზნე აუდიტორიის მოკლე აღწერა, მათ შორის - ნებისმიერი ცვლილებების არსი და განმარტება. ასევე რეკომენდებულია ძირითადი საერთაშორისო სტრატეგიული დოკუმენტებისა და შეთანხმებების მიმოხილვა, ისევე როგორც იმ კანონების ჩამონათვალის, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო მიგრაციის სხვა სფეროებს.

C3. ინსტიტუციური ჩარჩო

ამ ნაწილში აღწერილია ქვეყანაში მიგრაციის მართვის ინსტიტუციური მოწყობა. რეკომენდებულია მიგრაციის მართვაში ჩართული სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის კავშირების ნათლად დემონსტრირება. საქართველოს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემთხვევაში, ამ ნაწილში აღწერილია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სტრუქტურა და მისი ფუნქციები.

[17] მაგალითად: ICMPD"s The State of Migration in Georgia report, 2015. http://www.enigmma.ge/wp-content/uploads/2015/08/ENIGMMA-State-of-Migration_Electronic_Version2.pdf. ნანახია: 2015 წლის 8 დეკემბერს.

ნაწილი D. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ნაწილი D საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის ყველაზე მნიშვნელოვანი თავია, რადგანაც მასში ყველა ძირითადი მიგნებაა მოკლედ წარმოდგენილი, განხილულია ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული ძირითადი პრობლემური საკითხები და შემუშავებულია რეკომენდაციები არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად. მნიშვნელოვანია, რომ მიგნებები გამოვლენილ ტენდენციებსა და ურთიერთკავშირებზე იყოს ფოკუსირებული და არ წარმოადგენდეს დოკუმენტის სხვა ნაწილებში განხილული ინფორმაციის მარტივ შეჯამებას. ძირითადი მიგნებები თანმიმდევრული და ლოგიკურად დაკავშირებული უნდა იყოს პროფილის სხვა ნაწილებში მოცემულ ანალიზთან.

ამ ნაწილის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ძირითადი პრობლემური საკითხებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი მოგვარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. პრობლემური საკითხებისა და გამოწვევების გამოვლენისას რეკომენდებულია ერთი და იგივე სტრუქტურული პრობლემის კონკრეტულ მაგალითებზე ფოკუსირების ნაცვლად შეეცადოთ მათი საერთო გამომწვევი მიზეზები დაადგინოთ. პრობლემური საკითხები და გამოწვევები ასევე ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის მიგნებებთან. რეკომენდაციების შემუშავების დროს, მნიშვნელოვანია რომ იგი იყოს კონკრეტული, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებისადმი მიმართული და მიღწევადი.

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის სტრუქტურა

საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილისგან განსხვავებით მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის სტრუქტურა უფრო მარტივია და ორი ნაწილისგან შედგება:

სტატისტიკურ ნაწილში განხილულია ის თემა, რომელიც მიგრაციის პროფილის გუნდისა და სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ერთობლივად იქნა შერჩეული. ლაკონურადაა წარმოდგენილია ყველა რელევანტური მონაცემი და ყურადღება გამახვილებულია იმ ცვლილებებზე და მიგრაციული პროცესების ახლებურ განვითარებებზე, რაც საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილზე მუშაობის დასრულების შემდეგ გახდა თვალსაჩინო. მაგალითად, თუკი მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის მიზანია დაადგინოს მიგრაციასა და დემოგრაფიულ ტრანსფორმაციას შორის არსებული კავშირები, გაანალიზებული იქნება ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, მოსახლეობის რიცხოვნობასთან ან მის შემადგენლობასთან დაკავშირებული ცვლილებები, რაც შეიძლება განხილული იყოს ემიგრაციისა და იმიგრაციის (როგორც ნაკადები, ასევე მიგრანტთა ჯგუფები) მონაცემებთან შეპირისპირებით.

ზეგავლენის ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ქვეყანაში მიგრაციის სხვადასხვა ასპექტებსა და დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ხასიათის განვითარებას შორის არსებულ ურთიერთკავშირებზე. ამ ნაწილში რეკომენდებულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მიგრაციული პროცესების გავლენაზე ადგილობრივ გარემოზე, და პირიქით.

მონაცემების შეგროვება, ანალიზი და მათი პრეზენტაცია

საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების შემუშავების წარმატება პირდაპირ დაკავშირებულია რელევანტური მონაცემების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე, რაც მიგრაციის პროფილზე მომუშავე გუნდს სანდო ანალიზის განხორციელების საშუალებას აძლევს. მონაცემების შეგროვების პროცესის დაწყებამდე, მიგრაციის პროფილის გუნდის მიერ შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული.

მონაცემების შეგროვება

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეთანხმდეს თუ რამდენი (5, 10 თუ 15) წლის მონაცემების ანალიზი განხორციელდება საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილებში. ამ პერიოდის განსაზღვრასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, პირველ რიგში გათვალისწინებულია მონაცემების ხელმისაწვდომის საკითხი. ზოგიერთ შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, შეიძლება აშკარა გახდეს, რომ რთული იქნება უფრო ხანგრძლივი პერიოდის ამსახველი მონაცემების მოძიება, რადგან უბრალოდ არ ხდებოდა ამ კონკრეტული ტიპის სტატისტიკის წარმოება. გადაწვეტილების მიღების პროცესში, ასევე გასათვალისწინებელია, თუ რამდენად იყო ესა თუ ის საკითხი განხილული წინამორბედ მიგრაციის პროფილებში. თუკი, მაგალითად, ამჟამინდელი პროფილი ყურადღებას უთმობს ახალ თემას, რომელიც მანამდე არ გამხდარა განხილვის საგანი და მის შესახებ არ არსებობდა ინფორმაცია, რეკომენდებულია უფრო ხანგრძლივი პერიოდის მონაცემების გამოყენება სრული სურათის შესაქმნელად.[18]

შენიშვნა: როდესაც ხდება მიგრაციის პროფილების რეგულარული შემუშავება, იმის მაგივრად, რომ დაეყრდნოთ წინამორბედი პროფილების მონაცემებს, რეკომენდებულია ინფორმაციის ახლიდან გამოთხოვა, რადგანაც შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში ბაზები განახლდა, შეიცვალა მონაცემთა გაწმენდის მეთოდი თუ მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია, რაც აჩვენებს განსხვავებებს ადრინდელ და ახლად გამოთხოვნილ მონაცემებს შორის. ასეთ შემთხვევებში, რეკომენდებულია ახლად გამოთხოვნილი მონაცემების გამოყენება და მონაცემთა შორის არსებული განსხვავების ასახსნელად შესაბამისი განმარტების გაკეთება.

წყაროების იდენტიფიცირებისას ასევე საჭიროა დაინტერესებული მხარეებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა. მონაცემების პოტენციურ წყაროებზე შეჯერებისას მნიშვნელოვანი იქნება პირველ რიგში მიგრაციის სფეროში უკვე არსებული ანგარიშებისა და მიგრაციის პროფილის დოკუმენტების შესწავლა. ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემების გაერთიანებული მონაცემთა ბაზა, რომელიც საჭირო ინფორმაციას დროულად

[18] საქართველოს საშუალო ფორმატის პროფილის შემთხვევაში წარმოდგენილია ბოლო ხუთი წლის მონაცემების ანალიზი, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ საკითხის ანალიზი პირველად ხდებოდა (მაგალითად უცხოელი სტუდენტები), გამოყენებული იქნა უფრო ხანგრძლივი პერიოდის მონაცემები (2004-2014 წლები).

მოგაწვდით, შესაბამისად, შესაძლოა, სულაც არ იყოს საჭირო წყაროების იდენტიფიცირება.[19]

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ რეგულარულად უნდა მოხდეს ინფორმაციის წყაროების სიის განახლება, რადგანაც სამუშაო პროცესის შედეგად დიდი ალბათობით ახალი წყაროები იქნება იდენტიფიცირებული.

მხოლოდ **მონაცემთა სანდო წყაროები** უნდა იქნეს გამოყენებული. ის, თუ რომელი ორგანიზაცია თუ უწყება არის პასუხისმგებელი ამა თუ იმ ინფორმაციის შეგროვებაზე, შეიძლება სასარგებლო იყოს მონაცემთა წყაროების სანდოობის დასადგენად. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს თუ რა წყაროებიდან არის ეს მონაცემები აღებული: ოფიციალური სამთავრობო სტატისტიკიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების და კვლევითი ინსტიტუტების მიერ წარმოებული სტატისტიკიდან თუ ანგარიშებიდან, სანდო მედია საშუალებებიდან თუ მიგრაციის სფეროში სანდო ექსპერტული რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებიდან (მაგალითად, მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი).

შენიშვნა: ყველა საჭირო მონაცემი შეიძლება რეგულარულად არ გროვდებოდეს ან პროფილისათვის საჭირო ფორმატში იყოს.

მონაცემთა წყაროები ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს - მონაცემთა **ღია** და **დახურული** წყაროები. უმეტეს წილად, მონაცემებს ღია წყაროებიდან ვიღებთ, მაგალითად, შესაბამისი ვებ-გვერდებიდან თუ პუბლიკაციებიდან. მეორე შემთხვევაში, როგორც წესი, მონაცემების გამოთხოვნასთან დაკავშირებით ოფიციალურად უნდა მივმართოთ შესაბამის ორგანიზაციებს და მაშინაც მათ შესაძლოა მხოლოდ ჯამური მონაცემები მოგვაწოდონ მონაცემთა ბაზაზე წვდომის უფლების გარეშე.

მონაცემთა ხარისხი უნდა შემოწმდეს - სოციოლოგიური კვლევების შემთხვევაში, განხილული უნდა იყოს კვლევის მეთოდოლოგია რომ გავიგოთ როგორი იყო შერჩევის მეთოდი და რამდენად შესაძლებელია შედეგების განზოგადება მოცემულ მოსახლეობაზე; როგორ იყო კითხვები დასმული, ან როგორია არგამოპასუხების წილი. შესაძლოა, რომ პროფილისთვის მნიშვნელოვანი მონაცემების შემცველი კვლევის მეთოდოლოგია კითხვებს ბადებდეს - ამ შემთხვევაში ან არ უნდა გამოვიყენოთ მონაცემები, ან ამის გათვალისწინებით, გამოვიყენოთ ისინი მხოლოდ საილუსტრაციოდ და არ ავაგოთ მათზე ძირითადი მიგნებები.

სახელმწიფო უწყებების შემთხვევაში, მონაცემთა ხარისხის გადამოწმების ერთ-ერთი საშუალებაა მათ შეგროვებასა და ანალიზზე პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრა და დაზუსტებაა, თუ როგორ ხდება მონაცემების შეგროვება, გაწმენდა და შეცდომების გასწორება.

[19] მაგალითად, მიგრაციის მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით 2016 წელს, საქართველოში იგეგმება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის (UMAS) ამოქმედება. სისტემა მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემების მნიშვნელოვანი წყარო იქნება, რაც საგრძნობლად შეამცირებს მონაცემთა შეგროვების ეტაპისთვის გამოყოფილ დროს.

რეპრეზენტატულობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური კვლევების მონაცემების გამოყენების დროს. პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ რამდენად სწორად ასახავს შედეგები გამოკითხული მოსახლეობის აზრს, ამისთვის კი მეთოდოლოგიის გადამოწმებაა საჭიროა. თუკი აღმოჩნდება, რომ რაოდენობრივი კვლევა არა არის რეპრეზენტატული, მონაცემების გამოყენება მაინც შესაძლებელია, თუმცა მკითხველს ნათლად უნდა ავუხსნათ, რომ შედეგების განზოგადება არ არის მიზანშეწონილი.

საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების დაწყებისთანავე განხილული უნდა იყოს და შეთანხმდეს **მონაცემების კატეგორიებად ჩაშლის (დისაგრეგაციის) საკითხი**. მაგალითად, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ უძრავი ქონების რეგისტრაციის მონაცემების შესახებ სრული სურათის მისაღებად, საჭირო იქნება ინფორმაციის ჩაშლა არა მხოლოდ უცხოელების მოქალაქეობის მიხედვით, არამედ უძრავი ქონების ტიპის, მისი ადგილმდებარეობის (რეგიონის) და რეგისტრაციის ადგილის მიხედვითაც. ასევე მნიშვნელოვანია ისეთი ცვლადების გათვალისწინება, როგორიცაა უცხოელების გენდერული და ასაკობრივი განაწილება. უცხოელი სტუდენტების შემთხვევაშიც, მონაცემების მსგავს კატეგორიებად ჩაშლის გარდა (მოქალაქეობა, სქესი და ასაკი), მნიშვნელოვანია განხილული იყოს ისეთი ცვლადები, როგორიცაა, უნივერსიტეტის სახელწოდება, საგანმანათლებლო პროგრამა და განათლების საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა). უნდა გვახსოვდეს, რომ მონაცემების დისაგრეგაციის საკითხზე შეთანხმებასთან ერთად, კონკრეტული მონაცემების გამოთხოვნის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სხვა დამატებითი ცვლადების გათვალისწინებაც.[20]

შენიშვნა: ორგანიზაციები შეიძლება სხვადასხვა დონეზე აგრეგირებულ მონაცემებს აგროვებენ - მაშინ, როდესაც ზოგიერთებს შეუძლიათ ინდივიდუალურ დონეზე შეგროვებული მონაცემების მოწოდება, სხვები მხოლოდ ეროვნულ თუ რეგიონალურ დონეზე არსებულ ჯამურ (აგრეგირებულ) მონაცემებს გვაწვდიან. მაგალითად, ბევრი ორგანიზაცია, რომელსაც მონაცემთა ბაზები ვებ-გვერდებზე აქვთ განთავსებული, მხოლოდ ჯამური (აგრეგირებული) ფორმით წარმოდგენილ მონაცემებთან წვდომის უფლებას იძლევა.

მას შემდეგ რაც შეთანხმდება თუ რა პერიოდის მონაცემები უნდა იყოს გაანალიზებული პროფილის დოკუმენტებში, უნდა ჩამოაყალიბდეს მონაცემთა წყაროების სია და განისაზღვროს დისაგრეგაციის დონე. რეკომენდებულია მონაცემთა გამოთხოვნის ფორმების [21] შემუშავება, რათა შესაბამისი უწყებებიდან მონაცემები წინასწარ განსაზღვრული ფორმით მიიღოთ.[22]

[20]საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილიდან შესაბამისი მაგალითები იხილეთ: დანართი 3, ჩანართი N1.

[21] მონაცემთა გამოთხოვნის ფორმების რამდენიმე ნიმუში იხილეთ: დანართი 2.

[22] საქართველოს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის შემთხვევაში, მონაცემთა გამოთხოვნის ფორმები შემუშავდა „ექსელის“ ფორმატში. პირველ რიგში მოხდა მათი განხილვა მიგრაციის პროფილზე მომუშავე გუნდის შიგნით, ხოლო შემდეგ თითოეული უწყების წარმომადგენელთან, ფორმის შევსების სპეციფიკის ახსნის მიზნით. უმეტეს შემთხვევაში, ფორმების შესავსებად გამოყოფილი იყო ორი კვირა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც მონაცემები არ იყო ხელმისაწვდომი და დამატებით გამოთხოვნას, გადათვლას და დამუშავებას საჭიროებდა, ფორმების მიღებას ერთ თვეზე მეტი დასჭირდა.

ანალიზი

საშუალო ფორმატის პროფილი არ საჭიროებს რთულ სტატისტიკურ ანალიზს - ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია **სიხშირეები** და **კროსტაბულაციები**. ამიტომ, უმეტესწილად საჭიროა მხოლოდ მარტივი არითმეტიკული გამოთვლების - მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა და პროცენტის გამოთვლა. თუმცა, როდესაც მიგრაციის პროფილის გუნდს სრული წვდომა აქვს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე, შესაძლებელია უფრო სიღრმისეული ანალიზის განხორციელება, როგორიცაა **ცენტრალური ტენდენციის გამოყენება** (საშუალო, მედიანა, და მოდა). მაგალითად მიგრანტების სხვადასხვა კატეგორიების განხილვისას, ის თუ როგორია მათი საშუალო ასაკი ან ფულადი გზავნილების საშუალო მოცულობა ერთ ტრანსფერზე, დამატებით პერსპექტივას შესძენს ანალიზის პროცესს და ხელს შეუწყობს მიგრაციული პროცესების უკეთ გაგებას. თავშესაფრის მაძიებელთა, ვიზის, ბინადრობის ნებართვისა თუ მოქალაქეობის განაცხადების მონაცემების ანალიზისას, რეკომენდებულია როგორც აღიარების/უარის კოეფიციენტის, ისე ზრდისა თუ კლების კოეფიციენტის გამოთვლა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რა იყო საბაზისო რიცხვი, და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მკითხველისთვის.

კითხვაზე თუ რა არის უფრო ადეკვატური, პირველადი/დაუმუშავებელი მონაცემების (რიცხვები/სიხშირეები), პროცენტების, თუ ორივე ტიპის მონაცემების გამოყენება, ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ეს დამოკიდებულია თავად მონაცემებზე - თუკი შერჩევის ზომა მცირეა (100-ზე ნაკლები) უაღრესად საეჭვო იქნება მონაცემების წარმოდგენა პროცენტებში, რადგანაც ცდომილება საკმაოდ მაღალი შეიძლება იყოს. ზოგიერთ შემთხვევაში გონივრულია წარმოდგენილი იყოს როგორც სიხშირეები, ასევე პროცენტები, რათა მკითხველმა ადვილად აღიქვას განსხვავების და/ან ცვლილების მასშტაბი.

მნიშვნელოვანია მონაცემებს, მათ აღწერასა და ახსნას შორის იყოს დაცული ბალანსი. თავი უნდა ავარიდოთ მხოლოდ მონაცემებზე ფოკუსირებას, როდესაც ფაქტობრივად არ ხდება მკითხველისთვის მათი ახსნის მცდელობა. შეიძლება ითქვას, რომ მონაცემები თავად მეტყველებენ თავის თავზე და არ საჭიროებენ ახსნას, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. შესაბამისად, როდესაც მონაცემების ანალიზისას რაიმე ახალ მიგნებას მივაკვლევთ, მიზანშეწონილია შესაბამისი ახსნა-განმარტების გაკეთება - თუმცა, ეს განმარტებები ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და სათანადო მტკიცებულებებს ეფუძნებოდეს.

აშკარაა, რომ აღწერითი ანალიზის საფუძველზე შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი თუ კორელაციური კავშირების დადგენა. თუმცა შესაძლებელია მიგრაციული ნაკადების ტენდენციების, მოდელებისა და დინამიკის, ისევე როგორც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში მიგრანტების ჩართულობის დონის იდენტიფიცირება.

საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების დიზაინი და პოპულარიზაცია

საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის დიზაინი

მონაცემები ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ ადვილად აღსაქმელი იყოს. შესაბამისად, ვრცელი ცხრილებისა ან დიაგრამების მაგივრად, რომლებიც, მაგალითად, იმიგრანტების

წარმომავლობის ყველა ქვეყანაზე არსებულ ინფორმაცის მოიცავს, უმჯობესია მხოლოდ ის 5-10 წარმოშობის ქვეყანა გამოვყოთ, საიდანაც ყველაზე მეტი იმიგრანტი ჩამოდის. ხოლო სრული მონაცემების საჭიროების შემთხვევაში ცხრილი შეიძლება დანართში განთავსდეს, ტექსტში შესაბამისი მინიშნებით. თითოეულ ცხრილში თუ დიაგრამაში წარმოდგენილი მონაცემები მოკლედ უნდა იყოს განხილული განსაკუთრებული აქცენტით ძირითად განსხვავებებსა თუ მსგავსებებზე. დოკუმენტის თითოეულ თავს უნდა ახლდეს დასკვნა (ერთი ან ორი წინადადება), სადაც შეჯამებულია ძირითადი მიგნებები და ტენდენციები.

რეკომენდებულია ცხრილებისთვის სტანდარტული შაბლონის შემუშავება, რათა მონაცემები ერთიან ფორმატში იყოს წარმოდგენილი - ამ თითქოსდა ტექნიკური ასპექტით დაიზოგება დრო და რაც უფრო მთავარია, ასეთი მიდგომა შესაძლოა სასარგებლო იყოს მონაცემთა გადამოწმების თვალსაზრისითაც.

როდესაც მონაცემები სრულად არ მოგვყავს, მნიშვნელოვანია მკითხველს ჰქონდეს შესაძლებლობა რომ სრული სურათი აღიდგინოს. მაგალითად, შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის სტატისტიკის განხილვისას, შესაძლოა გადაწყვიტოთ, რომ ცხრილში მხოლოდ პირველი ხუთი თუ ათი წარმოშობის ქვეყნის მონაცემები წარმოადგინოთ. თუმცა, თუკი დაემატება მწკრივი („ჯამი“), სადაც შრომითი ბინადრობის ნებართვების ჯამური რაოდენობა იქნება წარმოდგენილი და მეორე მწკრივი („სხვა“), რომელიც დანარჩენი ქვეყნების მონაცემებს მოიცავს, ცხრილი უკვე სრულყოფილი იქნება და ადვილი იქნება იმის დადგენა, თუ ამ ხუთ თუ ათ ქვეყანას ბინადრობის ნებართვების საერთო რაოდენობაში რა ხვედრითი წილი ეკუთვნის.

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის დიზაინი

საშუალო ფორმატის პროფილისგან განსხვავებით, მოკლე ფორმატის პროფილის გრაფიკული დიზაინი ამ დოკუმენტის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს შეადგენს, რამაც იგი ადვილად გასაგები და მომხმარებლისთვის მარტივად გამოყენებადი უნდა გახადოს, რაც, ასევე ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოებაში მის ფართო გავრცელებას. ამ მიზნით, ცხრილების ნაცვლად, რეკომენდებულია მოკლე ფორმატის პროფილში წარმოდგენილი იყოს ინფოგრაფიკები მოკლე განმარტებებით, რომლებიც ლოგიკურად აკავშირებს დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილს.

შენიშვნა: მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების დროს რეკომენდებულია ვიზულიზაციისთვის/ინფოგრაფიკისთვის მონაცემების შერჩევა ციფრულ დიზაინერთან თანამშრომლობით, რომელიც იმუშავებს დოკუმენტის ვიზუალურ მხარეზე.

საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების პოპულარიზაცია

ქვემოთ მოყვანილ სიაში წარმოდგენილია საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის სამიზნე აუდიტორია. კონკრეტული სახელმწიფოს კონტექსტიდან გამომდინარე, ეს ჯგუფები და მათთან წვდომის სტრატეგიები შესაძლოა განსხვავებული იყოს. მიუხედავად ამისა, ქვემოთ წარმოდგენილი მიდგომები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მაგალითი, რომლის მორგებაც შესაძლებელია ადგილობრივ

საჭიროებებზე. საქართველოს საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების შემუშავებისას, შემდეგი ჯგუფები განისაზღვრა სამიზნე აუდიტორიად:

- მიგრაციის პოლიტიკის შემუშავების პროცესში ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღებნი;
- შესაბამის სახელმწიფო უწყებებში შუალედური რგოლის მენეჯერები;
- სამეცნიერო წრეები/სტუდენტები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო საზოგადოება;
- ფართო საზოგადოება.

პირველი ორი ჯგუფის შემთხვევაში, რომლებიც გარკვეულწილად ჩართულნი იყვნენ ორივე ფორმატის დოკუმენტის შემუშავების პროცესში, მნიშვნელოვანია რომ მათ თავის საქმიანობაში - პოლიტიკის შემუშავებისას - დაიწყონ დოკუმენტების გამოყენება. ამ თვალსაზრისით, რეკომენდებულია დოკუმენტის ოფიციალური პრეზენტაციის ორგანიზება მისი დამტკიცებისა და გამოქვეყნების შემდეგ, სადაც კვლავ იქნება შესაძლებელი ძირითადი დასკვნების განხილვა და პოლიტიკის იმ მიმართულებების გამოყოფა, სადაც საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილები განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიგნებებს გვათავაზობს.

სამეცნიერო წრეებისა და სტუდენტების შემთხვევაში, რეკომენდებულია პრეზენტაციებისა და სემინარების გამართვა (როგორც ძირითადი მიგნებების, ასევე შემუშავების მეთოდოლოგიის განხილვის მიზნით) არა მხოლოდ დედაქალაქის წამყვან უნივერსიტეტებში, არამედ რეგიონებშიც. ამასთანავე, დოკუმენტის ბეჭდური ტირაჟის ნაწილი უნდა გადაეცეს უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს და ხელმისაწვდომი იყოს აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. დოკუმენტების წარმატებული პოპულარიზაციის მიზნით, მისი ელექტრონული ვერსიები გაზიარებული უნდა იყოს სოციალური მედიის პლატფორმებზე, რომლებიც პოპულარულია სამეცნიერო და სტუდენტურ წრეებს შორის.

მიგრაციის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში, რეკომენდებულია სამეცნიერო და სტუდენტურ წრეებთან აპრობირებული მიდგომის გამოყენება: პრეზენტაციები, სემინარები და დოკუმენტის ბეჭდური/ელექტრონული ვერსიების გავრცელება.

საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელთა შემთხვევაში შესაძლოა შემდეგი მიდგომების გამოყენება: მათ შეიძლება დოკუმენტის ოფიციალური პრეზენტაციის ღონისძიებაში მიიღონ მონაწილეობა, ხოლო ბეჭდური ვერსიები შეიძლება პირდაპირ გადაეგზავნოს დიპლომატიურ/საერთაშორისო წარმომადგენლობებს. საზღვარგარეთ მყოფი საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებისათვის, საერთაშორისო პლატფორმებზე თემატური შეხვედრები (მაგალითად პრაღის პროცესის ინიციატივის ფარგლებში) შეიძლება გამოყენებული იყოს საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების მიგნებებისა და მეთოდოლოგიის წარსადგენად და დოკუმენტების პოპულარიზაციისთვის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ელექტრონული გავრცელების შესაძლებლობების გამოყენებაც - დოკუმენტების ელექტრონული ვერსიების ბმულების

შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციების (მაგ.: ადგილობრივი და საერთაშორისო, პრაღის პროცესი) საიტებზე განთავსებით.

ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის შემთხვევაში კი სხვა მიდგომის გამოყენებაა რეკომენდებული. უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იყოს თუ რომელი მედია-საშუალებაა ძირითადი ინფორმაციის წყარო მოსახლეობის უმრავლესობისთვის. საქართველოს შემთხვევაში, ეს არის ტელევიზია - შესაბამისად, საინფორმაციო სატელევიზიო მასალების შექმნა და ეთერში გაშვება სავარაუდოდ უკეთ შეძლებს ფართო საზოგადოების ინფორმირებას და ამგვარად, ხელს შეუწყობს მოსახლეობის მიერ მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების - იქნება ეს პოლიტიკისა თუ არსებული ტენდენციების - უფრო დაბალანსებულ შეფასებას.

დანართი 1. საქართველოს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის სტრუქტურა

ცხრილი 1. შინაარსი, მონაცემთა ძირითადი წყაროები და გამოწვევები

	შინაარსი	მონაცემები	მონაცემთა წყარო	გამოწვევები
A1. სიტუაციის მიმოხილვა	ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის მიმოხილვა.	ქვეყნის მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები (მშპ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ჯინი-ს კოეფიციენტი, დემოგრაფიული მაჩვენებლები, განათლების/ჯანდაცვის ხარჯვითი წილი, ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები).	საქსტატი; საერთაშორისო ორგანიზაციები და კვლევითი ინსტიტუტები (როგორიცაა მსოფლიო ბანკი, EUROSTAT, UNFPA, UNESCO, UNDP).	გამოწვევები არ გამოვლენილა.
A2. ემიგრაცია	ემიგრანტთა ჯგუფებისა და ნაკადების, ემიგრანტების ტიპების, ლეგალური და არალეგალური ემიგრაციისა და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი მიგრანტების მიმოხილვა.	ემიგრანტთა ჯგუფები და ნაკადები; ბინადრობის ნებართვისა და მოქალაქეობის მინიჭების მონაცემები; თავშესაფრის სტატისტიკა.	საქსტატი; EC, Росстат, აშშ-ს უსაფრთხოების სამსახურის იმიგრაციის სტატისტიკის ოფისი; საერთაშორისო ორგანიზაციები და კვლევითი ინსტიტუტები (როგორიცაა მსოფლიო ბანკი, EUROSTAT, UNFPA, FRONTEX, UNHCR, UN DESA, EUI).	ზოგიერთი მონაცემის შეგროვება ან საერთოდ არ ხდებოდა, ან რთული იყო მისი მოპოვება- განსაკუთრებით ემიგრანტების ჯგუფებისა და ნაკადების შემთხვევაში. შესაბამისად საჭირო იყო შეფასებითი მონაცემების გამოყენება.
A3. იმიგრაცია	იმიგრანტთა ჯგუფებისა და ნაკადების, იმიგრანტების ტიპების, ლეგალური და არალეგალური იმიგრაციისა და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი იმიგრანტების მიმოხილვა.	იმიგრანტთა ჯგუფები და ნაკადები; ბინადრობის ნებართვებისა და მოქალაქეობის მინიჭების მონაცემები; თავშესაფრის სტატისტიკა.	საქსტატი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო , შინაგან საქმეთა	

			სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაციები და კვლევითი ინსტიტუტები (როგორიცაა მსოფლიო ბანკი, UNHCR, UN DESA, EUI).	
A4. დაბრუ-ნებითი მიგრაცია	ნებაყოფლობითი და იძულებითი დაბრუნებითი მიგრაციის მიმოხილვა, რეადმისიისა და დაბრუნების მიზეზების ჩათვლით.	დაბრუნებითი (ნებაყოფლობითი/იძულებითი) მიგრაციის მონაცემები.	IOM-ის AVRR-ის პროგრამა, ETF.	საქართველოში არსებული მონაცემები დაბრუნებული მიგრანტების შესახებ არაა ყოვლისმომცველი, შესაბამისად, ჩვენ უფრო მეტად გამოვიყენეთ სოციალური კვლევის შედეგები და შეფასებითი მონაცემები.
A5. შიდა მიგრაცია	შიდა მიგრაციის ტენდენციების მიმოხილვა (ეკომიგრაცია, იძულებით გადაადგილებული პირები, მიგრაცია სოფლიდან ქალაქში).	მონაცემები შიდა მიგრაციის თითოეული ტიპის შესახებ.	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქსტატი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.	შიდა მიგრაციის აღრიცხვა არ არის სრულყოფილი, თუმცა მაინც შესაძლებელია ძირითადი ტრენდების იდენტიფიცირება.
A6. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მონაცემების მიმოხილვა, სამართალ-დარღვევათა მონაცემები.	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მონაცემები, ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის სტატისტიკა და მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის გაწეული დახმარების მონაცემები.	იუსტიციის სამინისტრო, USAID, მონობის გლობალური ინდექსი (Global Slavery Index), შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი,	გამოწვევები არ გამოვლენილა.

B1. დემო-გრაფიული ასპექტი	იმიგრაციის, ემიგრაციისა და შიდა მიგრაციის გავლენა ძირითად დემოგრაფიულ ტენდენციებზე.	მონაცემები მოსახლეობის შესახებ.	საქსტატი	გამოწვევები არ გამოვლენილა.
B2. ეკო-ნომიკური ასპექტი	იმიგრაციის, ემიგრაციისა და შიდა მიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.	ფულადი გზავნილების (შემოდინება და გადინება) მონაცემები, უცხოელთა ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობის მონაცემები, შრომითი/საინვესტიციო ბინადრობის ნებართვებისა და დიასპორის ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მონაცემები, განათლების ინტერნაციონალიზაციის სტატისტიკა.	საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი, CRRC, EBRD, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ISET, ფინანსთა სამინისტრო, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ETF, საერთაშორისო განათლების ცენტრი.	უცხოელთა ეკონომიკური/სამე-წარმეო საქმიანობის შესახებ მრავალმხრივ მონაცემთა ნაკლებობა.
B3. სოციალური ასპექტი - ინტეგრაცია	ინტეგრაცია (იმიგრანტები, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები და დაბრუნებული მიგრანტები).	ინტეგრაციის პროგრამის მონაცემები, სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემები, ნატურალიზაციის შესახებ მონაცემები.	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.	უცხოელთა ინტეგრაციის ინდიკატორების ნაკლებობა.

დანართი 2. საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილისათვის შექმნილი მონაცემთა გამოთხოვნის ფორმების მაგალითები

შენიშვნა: რეკომენდებულია მონაცემთა გამოთხოვნის ფორმების „ექსელის“ ფორმატში შემუშავება, რათა ფორმამ შესაბამის უწყებებს შესაძლებლობა მისცეს საჭიროებისამებრ დაამატონ მწკრივები/სვეტები. „ექსელის“ ფორმატი საშუალებას აძლევს საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილზე მომუშავე ჯგუფის წევრებს მარტივად გადათვალონ/გადაამოწმონ მონაცემები.

ფორმა 1. იძულებით გადაადგილებული პირების/ეკოლოგიური მიგრანტების მონაცემების გამოთხოვნის ფორმა წარმოშობის ადგილის, სქესის, ასაკის, განსახლების ტიპისა და განსახლების რეგიონის მიხედვით.

წელი	**წარმოშობის რეგიონი**	**სქესი**		**ასაკობრივი ჯგუფი**					**განსახლების ტიპი**		**განსახლების რეგიონი**						
		ქალი	კაცი	<18	18-25	26-40	41-65	>65	კერძო	კოლექ-ტიური							
2010																	
2011																	
2012																	
2013																	
2014																	

ფორმა 2. იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების საერთო რაოდენობის გამოთხოვნის ფორმა.

წელი	**საერთო რაოდენობა**	**ოჯახების საერთო რაოდენობა**	**სქესი**		**ასაკობრივი ჯგუფი**				
			ქალი	კაცი	<18	18-25	26-40	41-65	>65
2010									
2011									
2012									
2013									

2014									

ფორმა 3. იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ მონაცემების გამოთხოვნის ფორმა.

წელი	**საერთო დაფინანსების ოდენობა (ვალუტა)**	**დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ვალუტა)**	**დაფინანსება სხვა წყაროებიდან (ვალუტა)**	**შესყიდული საცხოვრისის საერთო რაოდენობა**
2010				
2011				
2012				
2013				
2014				

ფორმა 4. ბინადრობის ნებართვის/მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვნის ფორმა

მოქალაქეობა	**ნებართვის ტიპი (შრომითი/სასწავლო/ოჯახის გაერთიანების მიზნით, სხვა)**		**სქესი**		**ასაკობრივი ჯგუფი**					**ჯამი**
	პირველადი	გაგრძელება	ქალი	კაცი	<18	18-25	26-40	41-65	>65	

ფორმა 5. ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვნის ფორმები.

ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა												
წელი	**უცხოელი სტუდენტების მოქალაქეობა (შეიძლება სვეტების დამატება)**				**სქესი**		**ასაკობრივი ჯგუფი**				**თბილისში მდებარე უმაღლესი სასწავ-ლებლები**	**რეგიონებში მდებარე უმაღლესი სასწავ-ლებლები**
					ქალი	კაცი	<18	18-25	26-40	41+		
2010												
2011												
2012												
2013												
2014												

ფორმა 6. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულ უცხოელ სტუდენტთა შესახებ ინფორმაციის გამოთხოვნის ფორმა.

უცხოელ კურსდამთავრებულთა რაოდენობა												
წელი	**უცხოელ კურსდამთავრებულთა მოქალაქეობა (შეიძლება სვეტების დამატება)**				**სქესი**		**ასაკობრივი ჯგუფი**				**თბილისში მდებარე უმაღლესი სასწავ-ლებლები**	**რეგიონებში მდებარე უმაღლესი სასწავ-ლებლები**
					ქალი	კაცი	<18	18-25	26-40	41+		
2010												
2011												
2012												
2013												
2014												

დანართი 3. მონაცემების კატეგორიებად ჩაშლა, პირველადი/დაუმუშავებელი მონაცემები და პროცენტები

ჩანართი 1. მონაცემების კატეგორიებად ჩაშლა 2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილიდან

მაგალითი 1. უცხო ენაზე შეთავაზებული პროგრამების ტიპები, უნივერსიტეტების რაოდენობა, რომლებიც სტუდენტებს სთავაზობენ პროგრამებს უცხო ენაზე

საქართველოს უნივერსიტეტები როგორც ჩანს თანდათან იწყებენ საერთაშორისო სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებას და შედეგად, სულ უფრო მეტი უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს უცხოენოვან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამებს (იხ. ცხრილი 16). ამრიგად, 2014 წლისათვის, 25 ქართულ უნივერსიტეტში 160 უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლებოდა.

ცხრილი 16: უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტატისტიკა (2011-2014 წწ.)

წელი	უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საერთო რაოდენობა	ბაკალავრიატის უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა	სამაგისტრო უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა	სადოქტორო უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა	უნივერსიტეტების რაოდენობა, სადაც ისწავლება უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები
2011	22	17	5	-	5
2012	88	59	24	5	12
2013	123	82	30	11	18
2014	160	105	42	13	25

წყარო: *განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

მაგალითი 2. დისაგრეგაცია ინდივიდუალურ/ოჯახის დონეზე, გენდერული/ასაკისა და განსახლების რეგიონის მიხედვით

ცხრილი 29: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, გენდერული და ასაკობრივი მახასიათებლების მიხედვით

წელი	იძულებით გადა-ადგილებულ პირთა რაოდენობა (ათასი)	იძულებით გადა-ადგილებული ოჯახების რაოდენობა (ათასი)	გენდერი		ასაკობრივი გადანაწილება				
			ქალი	მამაკაცი	<18	18-25	26-40	41-65	65<
2010	226,218	76,088	123,166	103,052	57,018	23,870	46,914	70,250	28,166
2011	230,439	76,357	125,094	105,345	58,817	23,490	47,943	71,813	28,376
2012	235,119	76,489	127,252	107,867	61,401	22,976	49,064	73,281	28,397
2013	238,037	77,297	128,916	109,121	62,865	22,516	49,561	74,077	29,018
2014	227,733	74,461	122,942	104,791	62,644	21,091	46,053	70,021	27,924

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

ცხრილი 30: ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, გენდერული და ასაკობრივი მახასიათებლების მიხედვით

წელი	იძულებით გადა-ადგილებულ პირთა რაოდენობა (ათასი)	იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების რაოდენობა (ათასი)	გენდერი		ასაკობრივი გადანაწილება				
			ქალი	მამაკაცი	<18	18-25	26-40	41-65	65<
2010	31,022	10,445	15,954	15,068	8,521	3,589	6,537	8,678	3,697
2011	32,168	10,566	16,525	15,643	8,947	3,646	6,751	9,037	3,787
2012	33,488	10,737	17,143	16,345	9,416	3,659	7,091	9,384	3,938
2013	34,923	11,205	17,839	17,084	9,773	3,729	7,371	9,861	4,189
2014	34,920	11,272	17,808	17,112	9,906	3,635	7,314	9,853	4,212

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

ცხრილი 31: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, განსახლების რეგიონების მიხედვით (2010-2014 წწ.)

	განსახლების რეგიონი										
წელი	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	სამეგრელო, ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
2010	91,505	4,691	584	26,798	1,160	1,020	960	87,131	2,178	8,263	1,928
2011	93,063	4,763	524	26,676	1,200	1,034	935	89,438	2,198	8,655	1,953
2012	95,081	6,602	534	25,786	1,250	1,044	945	90,458	2,228	9,180	2,011
2013	98,920	6,694	505	25,855	1,245	908	914	89,581	2,252	9,114	2,049
2014	94,721	6,466	488	25,037	1,181	859	839	85,075	2,167	8,923	1,977

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

ცხრილი 32: ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები მათი განსახლების რეგიონების მიხედვით (2010-2014 წწ.)

წელი	განსახლების რეგიონი										
	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	სამეგრელო, ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
2010	4,727	11	4	110	241	8,945	2	12	141	3,092	13,737
2011	4,900	13	3	118	288	9,397	1	15	140	3,265	14,028
2012	5,053	36	3	123	303	9,861	1	22	143	3,451	14,492
2013	5,674	36	5	125	302	10,219	1	22	145	3,633	14,761
2014	5,790	35	6	119	300	10,091	2	22	145	3,673	14,737

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

ჩანართი 2. პირველადი/დაუმუშავებელი მონაცემებისა და პროცენტების გამოყენების მაგალითები 2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილიდან

მაგალითი 1. ნატურალიზაციის მონაცემები: რიცხვები და პროცენტები

ცხრილი 14: ძირითადი წარმოშობის ქვეყნები, რომლის მოქალაქეებმაც მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციის პროცედურის გავლით

ქვეყანა	დაკმაყოფილებული განაცხადები	სულ დაკმაყოფილებული განაცხადების %
რუსეთი	25,992	73%
თურქეთი	3,033	8%
ისრაელი	1,151	3%
საბერძნეთი	1,143	3%
აშშ	1,097	3%
სომხეთი	670	2%
სხვა:	4,855	8%
სულ:	**35,769**	**100%**

წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

ნატურალიზაციის პროცედურის გავლით მოქალაქეობის მინიჭების გარდა, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების რეგულაციები უზრუნველყოფს შესაძლებლობას გახდეთ საქართველოს მოქალაქე მოქალაქეობის მინიჭების სტანდარტული პროცედურების გავლით. 2010-2014 წლებში, ამ კატეგორიაში 1,604 განმცხადებლიდან 1,502 პირს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. მათი უმრავლესობა (1,117) მოქალაქეობის არმქონე პირი და აზერბაიჯანის მოქალაქეა (383). ამ კატეგორიაში, უარის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად დაბალია და შეადგენს 102 შემთხვევას (მიღებული განაცხადების 6%).

მაგალითი 2. შრომითი ბინადრობის ნებართვები: რიცხვები და პროცენტები

მოთხოვნით აიხსნას. მაგალითად, არაოფიციალური წყაროების თანახმად, ჩინელ და თურქ შრომით იმიგრანტთა უმრავლესობა - რომელთაგან, 79% და 96% მამაკაცია - დასაქმებულია მასშტაბურ სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რომლებსაც ჩინური და თურქული კომპანიები ახორციელებენ. შრომითი ბინადრობის ნებართვაზე განაცხადების შემომტან სხვა ეროვნების წარმომადგენელთა შემთხვევაშიც მსგავსი გენდერული განაწილება გვხვდება (იხ. ცხრილი 43).

ცხრილი 43: 2010-2014 წლებში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვები, მოქალაქეობის ქვეყნების პირველი ხუთეულის მიხედვით

მოქალაქეობა	ქალები	ქალების წილი	მამაკაცები	მამაკაცების წილი	სულ
ჩინეთი	1,348	21%	5,119	79%	6,467
ირანი	351	16%	1,871	84%	2,222
თურქეთი	204	4%	4,414	96%	4,618
ინდოეთი	164	8%	1,992	92%	2,156
ეგვიპტე	88	10%	754	90%	842

წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*